ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

N 35
19/04/2019

დ. ლენტეხი

35-0-4-201904191456

ლენტეხის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინტრუქციის) დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.დამტკიცდეს ლენტეხის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესი (ინტრუქცია) დანართი N-1-ის მიხედვით.
2. დამტკიცდეს საწვავის გაცემის უწყისების ფორმები დანართი N-2-ის მიხედვით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

დანართი N-1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესი (ინსტრუქცია)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი (ინსტრუქცია) განსაზღვრავს ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ტალონი - საწვავის (ბენზინის/დიზელის) სპეციალიზებული ბარათი, რომელიც დამზადებულია საწვავის მომსახურების მომწოდებელი კომპანიის მიერ;

2. პლასტიკური ბარათი - საწვავის (ბენზინის/დიზელის) სპეციალიზებული ელექტრონული ბარათი, რომელიც დამზადებულია საწვავის მომწოდებელი კომპანიის მიერ.

3. ორგანიზაცია - ლენტეხის თვითმმართველობსი ორგანოები - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია.

4. ლიმიტი - ორგანიზაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საწვავის (ბენზინის/დიზელის) ყოველთვიური ოდენობა. ლიმიტი განესაზღვრება ორგანიზაციის თანამშრომლებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის.

მუხლი 3. საწვავის (ბენზინის/დიზელის) გაცემა.

1. პლასტიკურ ბარათებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის ჩატვირთვა, ასევე საწვავის ტალონების გაცემა, ხორციელდება მხოლოდ ორგანიზაციის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ თანამდებობისა და სამსახურებრივ მივლინებაში მყოფ პირებზე.

2.სამსახურებრივ მივლინებაში მყოფი მოსამსახურისათვის გასაცემი საწვავის ოდენობა გაანგარიშებულ იქნეს ორგანიზაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ 100 კმ-ზე საწვავის წვის ნორმების, აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების ცალკეული მიმართულებით ადმინისტრაციულ ერთეულამდე მანძილისა და ამ მიმართულებით მივლინებაში ყოფნის დადგენილი დღიური ლიმიტის მიხედვით, 10 ლიტრამდე განულებით.

3.საწვავის ტალონის გაცემა წინასწარ ხორციელდება ორგანიზაციის იმ მოსამსა-ხურეთათვის,რომლებიცსამსახურებრივ ავტოსატრანსპორტო საშუალებებით იმყოფებიან სამსახურებრივ მივლინებაში.

4. საწვავის ტალონების ლიმიტით გათვალისწინებული ოდენობის გაცემას, ასევე პლას-ტიკურ ბარათებზე ყოველთვიური ლიმიტის მიხედვით საწვავის ჩატვირთვის მიზნით

საწვავის მომწოდებელი კომპანიისათვის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან/და თანამშრომელი ყოველი თვის დასაწყისში. საწვავის ტალონების გაცემის დადასტურება ხდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ან/და თანამშრომელის მიერ ყოველთვიურად, გაცემის უწყისზე მიმღები პირის მიერ ხელმოწერით, ხოლო საწვავის ელექტრონული ფორმის შემთხვევაში, შესაბამისად საწვავის მომწოდებელ კომპანიისათვის გაგზავნილი (ან მათგან მიღებული) ოფიციალური წერილობითი დოკუმენტის (ან მისი დანართის) მიხედვით.

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოების არსებობისას, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ თანამდებობის

გაცემული საწვავის დაკავება განხორციელდება [illegible] რაოდენობიდან,ისე რომ მის მიერ ორი თვის ჯამში მიღებული საწვავის საშუალო ოდენობა გაუტოლდეს მისთვის დადგენილ ყოველთვიურ ლიმიტს.

მუხლი 4. საწვავის (ბენზინის / დიზელის) ჩამოწერა

ორგანიზაციის მიერ თანამშრომლებზე გაცემული საწვავის (მათ შორის, ყოველთვიურ ლიმიტს ზევით) ჩამოწერა და ფაქტობრივ ხარჯებში ასახვა განხორციელდება გაცემის უწყისების საფუძველზე.

დანართი №2

ფორმა ს-1

ელექტრონული ფორმით საწვავის გაცემის უწყისი

«----------------------» 19 წელი

	თანამდებობა	ბარათის №	დარიცხვის თარიღი	საწვავის სახე	ოდენობა (ლიტრი)	შენიშვ[illegible]
1						
2						
3						
. . .						
	სულ ჯამი	X	X	X		X

ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან/და თანამშრომელი -

(ხელმოწერა) (ხელმოწერა გარკვევით)

ფორმა ს-2

საწვავის ტალონის გაცემის უწყისი

«----------------------» 19 წელი

№	თანამდებობა	საწვავის სახე	ოდენობა (ლიტრი)	ხელწერა
1				
2				
3				
. . .				
	სულ ჯამი	X		X

ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან/და თანამშრომელი -